1.1 სისტემის აღწერა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) ვებგვერდი - https://my.sa.gov.ge/ ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას დისტანციურად ისარგებლოს მთელი რიგი სერვისებით, კერძოდ მოითხოვოს:

- მექანიკური სატრანსპორტო საშუალებათა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემა;
- ნასამართლობის შესახებ ცნობის გაცემა;
- საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ცნობის გაცემა;
- პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო ძებნის გამოცხადების შესახებ ცნობის გაცემა;
- იარაღის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემა;
- პირის მსჯავრდების შესახებ ცნობის გაცემა;
- მართვის მოწმობის გაცემის შესახებ ცნობის გაცემა;
- აღნიშნული დოკუმენტების უცხოურ ენაზე თარგმნა, მათი ლეგალიზაცია და აპოსტილი.

ჩამოთვლილი სერვისებით სარგებლობისათვის აუცილებელია პირი დარეგისტრირდეს სააგენტოს პორტალზე/საიტზე. საიტზე რეგისტრაციისას მომხმარებელი ვალდებულია მიუთითოს: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, სქესი, ფაქტიური და იურიდიული მისამართი და დაბადების წელი.[1] ამავდროულად, მომხმარებლის რეგისტრაციის შემდეგ პროფილში ჩნდება ფოტოსურათი სსიპ- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზიდან. საიტზე რეგისტრაციის წინაპირობაა მომსახურების პირობებზე დათანხმება.

სისტემის სამართლებრივ საფუძვლებს ქმნის რამდენიმე სამართლებრივი აქტი:

- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 25 ივნისის N892 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციის, ნასამართლობის შესახებ ცნობისა და მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესი“;

[1]მონაცემთა მითითებული ჩამონათვალი მოცემულია საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 18 სექტემბრის MIA 7 19 02478506 წერილში, თუმცა 2020 წლის 13 მარტის მდგომარეობით, სისტემაში რეგისტრაციისათვის საჭიროა მხოლოდ პირადი ნომრის, საკონტაქტო ნომრისა და ელ. ფოსტის მისამართის მითითება. სქესი, ფაქტიური და იურიდიული მისამართები არც რეგისტრაციის შემდგომ ჩანს მომხმარებლის პროფილში. ამავდროულად, მომხმარებლის რეგისტრაციის შემდეგ პროფილში ჩნდება ფოტოსურათი სსიპ- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზიდან.

- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს N598 ბრძანებით დამტკიცებული „ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის, მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესი და პირობები“.

მითითებული სამართლებრივი აქტები არეგულირებს რიგი დოკუმენტების ელექტრონულად წარდგენისა და მათ საფუძველზე მომსახურების გაწევის წესსა და პირობებს.

1.2 კვლევის ამოცანები

განსახილველი სისტემისთვის მონაცემთა სუბიექტს პოტენციურად წარმოადგენს 18 წელს მიღწეული საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე[2].

აღნიშნული სისტემისთვის მონაცემთა სუბიექტების სიმრავლის, ასევე მომსახურების გაწევის მიზნით შინაგან სამინისტროს გამგებლობაში შემავალი სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან/სამსახურებიდან და სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოდან მონაცემთა მოპოვებისა და დამუშავების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საკითხის დეტალური სამართლებრივი რეგლამენტაცია, მონიტორინგის ეფექტიანი და ქმედითი მექანიზმების არსებობა და მონაცემთა დამუშავების პროცესის შესახებ ინფორმაციის მაქსიმალური გამჭვირვალობა, მითუმეტეს იმ რეალობაში, სადაც სამართალდამცავი სისტემისადმი საზოგადოების ნდობა ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება.

იმისათვის, რომ მსგავს სისტემებში მინიმუმამდე იქნას დაყვანილი პერსონალურ მონაცემთა უკანონო დამუშავების და მათი არადანიშნულებისამებრ გამოყენების რისკები, აუცილებელია, გატარებული იქნას ადეკვატური სამართლებრივი, ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებების ერთობლიობა.

ამგვარი ღონისძიებების არა ამომწურავი ჩამონათვალი შეიძლება იყოს მონაცემთა დამუშავების პროცესების დეტალური რეგლამენტაცია, მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტის ხელმისაწვდომობა, მონაცემთა დამუშავების პროცესების გამჭვირვალობის მაღალი ხარისხი, მონაცემთა დამუშავების, მათ შორის სხვა უწყებებსა და სტრუქტურულ ერთეულებში დაცულ მონაცემთა ბაზებზე წვდომის საკითხების დოკუმენტირება, ჩანაწერების შენახვის ვადების განსაზღვრა, მონაცემებზე წვდომის კონტროლი, სისტემის დანერგვისას ისეთი პრინციპების უზრუნველყოფა, როგორიცაა მონაცემთა დაცვის სტანდარტების გათვალისწინება ახალი პროდუქტის ან მომსახურების შექმნის პროცესში

[2] სისტემაში რეგისტრაციისას სავალდებულოა პირადი ნომრის მითითება და არის აღნიშნვა, რომ სავალდებულოა მომხმარებელი იყოს საქართველოს მოქალაქე.

(„Privacy by Design“) და მონაცემთა დაცვა პირველად პარამეტრად („Privacy by Default“), მონაცემთა დამუშავების ზეგავლენის შეფასება (DPIA) და ა.შ.

კვლევის ამოცანას წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ რამდენად არის დაცული პერსონალურ მონაცემები ამ სისტემაში - რამდენად სერიოზულად და გულისხმიერად ეკიდება შინაგან საქმეთა სამინისტრო პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხს, და გატარებულია თუ არა შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები. უფრო კონკრეტულად კი გვინდოდა პასუხი გაგვეცა შემდეგ კითხვებზე:

- იდენტიფიცირებული და დეკლარირებულია თუ არა მონაცემთა დამუშავების კონკრეტული მიზნები, შესაბამისად, განჭვრეტადია თუ არა მონაცემთა დამუშავების პროცესი მონაცემთა სუბიექტთათვის;
- იდენტიფიცირებული და დეკლარირებულია თუ არა მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და ვადები, შესაბამისობაშია თუ არა ისინი მონაცემთა დაცვის პრინციპებთან;
- მონაცემთა სუბიექტისათვის ნათელი და ხელმისაწვდომია თუ არა ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მის შესახებ ამ სისტემის მეშვეობით;
- რეგულირებულია თუ არა სისტემაში დამუშავებულ მონაცემებზე წვდომის წესები და დონეები;
- აქვს თუ არა სამინისტროს/მომსახურების სააგენტოს მიღებული ადეკვატური ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები სისტემაში მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

კვლევითი ამოცანების შესაბამისად, ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრმა შეიმუშავა კითხვარი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან გამოითხოვა ღია საჯარო ინფორმაცია.

ასევე შესწავლილ იქნა უკვე გამოქვეყნებული/ხელმისაწვდომი ინფორმაცია ნორმატიული აქტებისა და სხვა ინფორმაციის სახით, მათ შორის, მომხმარებლის გვერდის ფუნქციონირება.

1.3 კვლევის შედეგები

კვლევის ფარგლებში გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის[3], საჯაროდ ხელმისაწვდომი სამართლებრივი აქტების, უშუალოდ ვებგვერდისა და სხვა ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, გამოიკვეთა შემდეგი პრობლემური საკითხები:

ნასამართლობის შესახებ მონაცემთა დამუშავების საფუძველი

არ არსებობს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების საფუძველი

[3] გარდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის განაცხადისა, ინფორმაციის სრულყოფილად მიღებისა და მიღებული ინფორმაციის არასწორი ინტერპრეტაციის თავიდან აცილების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ასევე შევთავაზეთ ზეპირი ინტერვიუს ჩატარება, თუმცა შეხვედრა ვერ შედგა.

სხვა ცნობებისგან განსხვავებით, ნასამართლობის შესახებ ცნობის გაცემა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებას გულისხმობს, რამდენადაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის ნასამართლობასთან განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს განეკუთვნება. შესაბამისად, ასეთი სახის მონაცემთა დამუშავების საფუძვლები კანონის მე-6 მუხლით განისაზღვრება. სააგენტოს მიერ ცნობის გასაცემად ერთადერთი რელევანტური საფუძველი მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობაა, თუმცა კანონის მოთხოვნების შესაბამისად, თანხმობა მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობაა, რომელსაც მონაცემთა სუბიექტმა ხელი მოაწერა ან სხვაგვარად აღნიშნა წერილობით ან მასთან გათანაბრებული ფორმით.

სააგენტოს ვებ-გვერდის თანახმად, ნასამართლობის შესახებ ცნობას მომსახურების სააგენტო გასცემს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში რეგისტრირებული/აღრიცხული მონაცემების ან/და სააგენტოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე. ცნობის ასაღებად, დაინტერესებულმა პირმა სააგენტოში უნდა წარადგინოს:

- განცხადება რომელშიც მითითებული იქნება მონაცემთა სუბიექტის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი, აგრეთვე პირადი ნომერი ან/და დაბადების თარიღი) (ივსება ადგილზე);
- პირადობის მოწმობა;
- თუ ნასამართლობის შესახებ ცნობის გაცემა მოითხოვა მესამე პირმა სააგენტოში ცნობის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნეს მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა (ან ამ დოკუმენტის ასლი) ან მონაცემთა სუბიექტის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი;

თუმცა უშუალოდ მონაცემთა სუბიექტის მიერ ან მისი სახელით ვებგვერდის მეშვეობის ნასამართლობის ცნობის შესახებ ელექტრონული განცხადების წარდგენისას, კანონით განსაზღვრული წინასწარი და ინფორმირებული წერილობითი თანხმობის მოპოვება კონკრეტული მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე არ ხდება, შესაბამისად, უშუალოდ მონაცემთა დამუშავება (მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში რეგისტრირებული/აღრიცხული მონაცემებზე წვდომა) ხორციელდება ისე, რომ კანონის მოთხოვნების დაცვით კონკრეტული მიზნით გამოხატული ინფორმირებული და წერილობითი თანხმობა და შესაბამისად, მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძველი, სახეზე არ არის.

მომსახურების ხელშეკრულების 1.14 პუნქტი: მომხმარებელი, რომელიც სარგებლობს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდის/ ელექტრონული მომსახურებით თანახმაა **სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ მომსახურების გაწევის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიიღოს და დაამუშაოს მომხმარებლის მიერ განცხადებით მოთხოვნილი პერსონალური მონაცემები.** თავისი არსით უფრო პირობაა,

ვიდრე კანონით განსაზღვრული თანხმობა და ის ვერ იქნება განხილული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებისთვის შესაფერის კანონიერ საფუძვლად.

<u>მონაცემთა დამუშავების პრინციპები</u>

მონაცემთა დამუშავების პროცესი სრულად არ შეესაბამება სამართლიანობის პრინციპს

მონაცემთა დამუშავებისას გასათვალისწინებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია მონაცემთა სამართლიანად და კანონიერად დამუშავება. მონაცემთა სამართლიანად დამუშავება თანაბარ პირობებთან და სხვა ასპექტებთან ერთად, ასევე გულისხმობს სამართლებრივ სიცხადესაც, შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტისთვის, გონივრულობის ფარგლებში, მონაცემთა დამუშავების პროცესი განჭვრეტადი და მოსალოდნელი უნდა იყოს. ასევე, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება იცოდეს მის შესახებ რომელი მონაცემი მუშავდება, რა მიზნით, რა საფუძვლით, ვისზე გაიცა ეს მონაცემები და ა.შ. ამავე კანონის მე-15 მუხლი კი მონაცემთა დამმუშავებელს ავალდებულებს სუბიექტს ეს ინფორმაცია მიაწოდოს წინასწარ, თუ მონაცემთა შეგროვება ხორციელდება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისაგან. მონაცემთა დამმუშავებელი ასევე ვალდებულია ეს ინფორმაცია ასახოს ფაილური სისტემის კატალოგშიც.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან მიღებული პასუხის საფუძველზე ირკვევა, რომ ვებ-გვერდის https://my.sa.gov.ge/-ზე მომხმარებლის რეგისტრაციისას მონაცემთა დამუშავების მიზანს წარმოადგენს მომხმარებლისათვის სხვადასხვა მომსახურების ელექტრონულად გაწევა. რეგისტრაციისას სავალდებულოა მომსახურების პირობებზე დათანხმება, რომლის 1.11 მუხლში ვკითხულობთ „მომხმარებლის მიერ პირობებზე დათანხმება ანიჭებს მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილებას საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში მიიღოს საჭირო ინფორმაცია რომელიც აუცილებელია მის მიერ მომხმარებლისათვის შეთავაზებული სერვისების განსახორციელებლად“.

ეს ჩანაწერი ზოგადი ხასიათისაა. მიუხედავად იმისა, რომ მიზანი (სერვისების განხორციელება) განსაზღვრულია, არ არის მკაფიოდ და დეტალურად ფორმულირებული რა იგულისხმება საჭირო ინფორმაციაში, შესაბამისად მონაცემთა სუბიექტს ნათელ წარმოდგენა არ ექმნება იმის შესახებ, თუ რა წყაროებზე დაყრდნობით, რა მონაცემები, როგორ და რა ფორმით შეიძლება დამუშავდეს.

<u>მონაცემთა მოცულობა</u>

არ არის განსაზღვრული დამუშავებული მონაცემების მოცულობა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციითა და მომხმარებლთან დადებული ხელშეკრულების - მომსახურების პირობების თანახმად, საიტზე რეგისტრაციისას მომხმარებელი ვალდებულია მიუთითოს რეალური მონაცემები: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, სქესი,

ფაქტიური და იურიდიული მისამართი და დაბადების წელი. საიტზე სატესტო რეგისტრაციისას აღმოჩნდა, რომ მომხმარებელი მიუთითებს პირად ნომერს, დაბადების თარიღს (და არა მხოლოდ დაბადების წელს), ელ. ფოსტას, პაროლს და მობილური ტელეფონის ნომერს. ამასთან, მომხმარებლის რეგისტრაციის შემდეგ პროფილში დამატებით ჩნდება მომხმარებლის სახელი, გვარი და ფოტოსურათი.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება იცოდეს მის შესახებ რომელი მონაცემი მუშავდება, რა მიზნით, რა საფუძვლით, ვისზე გაიცა ეს მონაცემები და ა.შ. კანონი მონაცემთა დამმუშავებელს ავალდებულებს აღნიშნული ინფორმაციის მონაცემთა სუბიექტისთვის მიწოდებას, ასევე, მის ფაილური სისტემის კატალოგში ასახვას.

რამდენადაც სამინისტროს მიერ დასახელებული არცერთი აქტით არ არის განსაზღვრული თუ რა მონაცემები მუშავდება რეალურად აღნიშული სისტემის მიერ და ამასთან, მომსახურების პირობებში მოცემული ინფორმაციაც არასრულია, მონაცემთა სუბიექტს არ შეუძლია განჭვრიტოს მის შესახებ რა მონაცემები გროვდება სისტემაში, რა წყაროებიდან ხდება ინფორმაციის მოპოვება და როგორ შეიძლება იქნას ეს მონაცემები გამოყენებული. გარკვეული მონაცემების, მათ შორის ფოტოსურათის ავტომატური ასახვა სისტემაში, მიუთითებს იმაზე, რომ სააგენტო სავარაუდოდ უკავშირდება სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საიდანაც პირადი ნომრისა და დაბადების თარიღის საფუძველზე მოიპოვებს რეგისტრირებული მომხმარებლის სახელს, გვარს და ფოტოსურათს, თუმცა ამის შესახებ მომხმარებელი ინფორმაციას ვერ იღებს და არც იმის მტკიცებულება არსებობს, მხოლოდ ეს მონაცემები მუშავდება თუ დამატებით რამე სხვა ინფორმაციაც.
შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტისთვის უცნობია, მხოლოდ კანონიერი მიზნის შესაბამისი მოცულობის მონაცემები მუშავდება მის შესახებ თუ არა და არის თუ არა ეს მონაცემები მომსახურების მიზნის ადეკვატური და პროპორციული.
ეს საკითხი შესაძლოა პრობლემური იყოს მონაცემთა დამუშავების საფუძველთან მიმართებითაც. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-5 მუხლის „თ" პუნქტის თანახმად მონაცემთა დამუშავება აუცილებელი უნდა იყოს მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად), ამ ზოგადი ჩანაწერიდან კი არ იკვეთება აუცილებელია თუ არა ყველა მონაცემის, მაგალითად ფოტოსურათის დამუშავება ელექტრონული სერვისის მისაწოდებლად.

<u>მონაცემთა დამუშავების ვადები</u>

არ არის დადგენილი მონაცემთა დამუშავების კონკრეტული ვადები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიღებული ინფორმაციის თანახმად[4] მომხმარებლის გვერდი წარმოადენს „მოქალაქეთათვის მომსახურების მიწოდების საშუალებას [და, შესაბამისად,] მომხმარებელი თავად განსაზღვრავს რა ვადამდე სურს მას ... ანგარიშის ქონა და შესაბამისი მომსახურებით სარგებლობა... მომხმარებლის გვერდის გაუქმებისთვის [პირს] უფლება აქვს წარადგინოს განცხადება მომსახურების სააგენტოში

[4] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 18 სექტემბრის MIA 7 19 02478506 წერილი

პერსონალური მონაცემების რედაქტირების/წაშლის მოთხოვნით“, ასევე მოითხოვოს ანგარიშის გაუქმება.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს ვადის შეზღუდვის პრინციპს, რომლის თანახმადაც მონაცემები შენახულ უნდა იქნას მხოლოდ იმ ვადით, რაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვადის შეზღუდვის პრინციპი არ გულისხმობს აუცილებლად მონაცემთა დამუშავების ვადის შემცირებას, არამედ მის შესაბამისობას მონაცემთა დამუშავების მიზნებთან.

მიუხედავად იმისა, რომ გვერდი my.sa.gov.ge მომხმარებლისათვის მომსახურების მიწოდების საშუალებას წარმოადგენს, მასში აკუმულირებული ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების ერთ-ერთი ფორმაა, შესაბამისად, უნდა იქნას განსაზღვრული ამ მონაცემების დამუშავების მიზანი და მათი შენახვის შესაბამისი ვადა. მაგალითად, პერსონალური ინფორმაციაა ის ფაქტი, რომ პირმა შექმნა ანგარიში, მოითხოვა კონკრეტული დოკუმენტის შექმნა, გაიტანა ან არ გაიტანა მოთხოვნილი დოკუმენტი, ჰქონდა წვდომა/დაათვალიერა ვებგვერდის საშუალებით მისთვის ხელმისაწვდომი მონაცემები (მაგ. მართვის მოწმობის გამოცდის დეტალები) და ა.შ. აღნიშნული მონაცემების წაშლა მომხმარებლის გვერდის გაუქმების მოთხოვნისთანავე ქმნის საფრთხეს დაბრკოლება შეექმნას მონაცემთა სუბიექტის რიგი უფლებების რეალიზებას. ასევე, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მონაცემთა დამუშავების მიზნებს, რადგან სამინისტრო ამ მონაცემებს ამუშავებს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შესაბამისად, მონაცემების წაშლისა და შენახვის საკითხი მხოლოდ მომხმარებლის ნებაზე ვერ იქნება მინდობილი.

სამინისტროს მხრიდან ამგვარი მიდგომა და პასუხი, ერთი მხრივ, მოწმობს იმას, რომ სისტემის დანერგვისას არ არის შეფასებული და გაანალიზებული მასში დამუშავებული თითოეული მონაცემის დამუშავების მიზანი და არ არის განსაზღვრული მიზნის ადეკვატური შენახვის ვადა. ასევე, პრობლემურია ის საკითხიც, მონაცემთა სუბიექტისათვის არ არის განჭვრეტადი მის შესახებ დამუშავებული რომელი მონაცემების წაშლა და რედაქტირება შეუძლია მოითხოვოს და რა ინფორმაცია იქნება შენახული მიუხედავად მისი მოთხოვნისა.

<u>მონაცემებზე წვდომა</u>

სისტემაში წვდომის დონეები დოკუმენტირებული არ არის

გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციით ვერ მივიღეთ ინფორმაცია სისტემის მიერ დამუშავებულ მონაცემებზე წვდომის დოკუმენტირების თაობაზე. მიუხედავად, იმისა, რომ გაგზავნილ წერილში[5] პირდაპირი ფორმულირებით იყო დასმული კითხვა მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირთა წრის, წვდომის ფარგლებისა და კონტროლი მექანიზმების თაობაზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არცერთ წერილში არ არის პასუხი აღნიშნულ კითხვაზე. ასევე, სამინისტროსაგან მითითებული არცერთი აქტი არ არეგულირებს

[5] ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის 2019 წლის 16 აგვისტოს N09.08.19 წერილი

თუნდაც უფლებამოსილებების მიხედვით მონაცემებზე წვდომისა და სისტემაში განსახორციელებელი ქმედებების ფარგლებს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სამინსიტროს სისტემაში დამუშავებულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის საკითხი არ აქვს დოკუმენტირებული და შესაბამისად რეგლამენტირებული. არ არსებობს რამე დოკუმენტი, რომელიც დაადგენს მაგალითად მომსახურების სააგენტოს თანამშრომელს თავისი რომელი უფლებამოსილების ფარგლებში რა მონაცემებზე შეიძლება ჰქონდეს წვდომა და რა მოქმედება განახორციელოს ამ წვდომის ფარგლებში.

<u>მონაცემთა უსაფრთხოების ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები</u>

არ არის დოკუმენტირებული შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები

გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ფარგლებში ვერ მივიღეთ ინფორმაცია სისტემის უსაფრთხოებისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარებული ორგანიზაციული თუ ტექნიკური ზომების შესახებ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არცერთ წერილში არ არის პასუხი აღნიშნულ კითხვაზე.

სამინისტრო მხოლოდ იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ ელექტრონული ფორმით მხოლოდ გაცხადების წარდგენა ხორციელდება, ხოლო უშუალოდ მოთხოვნილი დოკუმენტი გაიცემა მხოლოდ დოკუმენტის მიმღების საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციის გადამოწმების შემდგომ.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მიიღოს მონაცემთა უსაფრთხოებისათვის რისკების ადეკვატური ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები.

ასევე, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 მაისის N387 ბრძანების 27-ე მუხლი ავალდებულებს სამინისტროს მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო გამოყენებისა და დაკარგვისაგან.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან მიღებული პასუხი მოწმობს, რომ სამინისტროს არ აქვს გააზრებული მონაცემთა დამუშავების ე.წ. ინსაიდერული რისკები და სისტემაში დამუშავებულ მონაცემთა დაცვად მიაჩნია მხოლოდ იმის პრევენცია, რომ დამზადებული დოკუმენტი არ გაიცეს არაუფლებამოსილ პირზე სისტემის გარეთ.

მომსახურების პირობების მე-7 მუხლი, რომლის თანახმადაც მომსახურების სააგენტო უზრუნველყოფს მისი კომპეტენციის ფარგლებში და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, მომხმარებლის პერსონალურ მონაცემების დაცვასა და მის კონფიდენციალურობას, ძალიან ზოგადი ხასიათის ჩანაწერია და ვერ უზრუნველყოფს მომხმარებლისთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას, მისი მონაცემების დაცულობის

შესახებ. ცალკე აღნიშვნის ღირსია ამავე ხელშეკრულების 1.9 პუნქტი, რომლითაც პრაქტიკულად სააგენტო პასუხისმგებლობას იხსნის მომხმარებლის მასალების მოპარვა, განადგურება და არასანქცირებულ წვდომაზე, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიღებული ზომების არაეფექტურობასა და არაადეკვატურობაზე.

<u>დასკვნა</u>

საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის, შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან მიღებული პასუხების, მათ შორის, იმის გათვალისწინებით, რომ სამინისტრომ უარი განაცხადა დასმული საკითხების შეხვედრის ფორმატში განხილვაზე, ხოლო პირდაპირ დასმულ კითხვათა ნაწილზე პასუხი საერთოდ არ გაგვცა ან არასრულყოფილად გაგვცა, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

- მომხმარებლის გვერდთან my.sa.gov.ge მიმართებით არასაკმარისადაა რეგლამენტირებული მონაცემთა დაცვის საკითხი;
- პრობლემატურია ნასამართლობის ცნობის მისაღებად მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობისა და შესაბამისად, მონაცემთა დამუშავების საფუძველთან დაკავშირებული საკითხი.
- სამინისტროს არ აქვს გააზრებული სისტემაში დამუშავებული მონაცემთა მოცულობა და, შესაბამისად, არ აქვს შექმნილი მონაცემთა დაცვის სათანადო/ადეკვატური გარანტიები;
- მომსახურების პირობები არ პასუხობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ცალსახად საჭიროებს განახლებას და კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას.
- სამინისტროს არა აქვს განსაზღვრული ის კონკრეტული ვადები, რომლებიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად;
- სამინიტროს არ აქვს შესწავლილი და იდენტიფიცირებული ყველა რისკი, მათ შორის ინსაიდერული, ხოლო მონაცემთა დასაცავად მიღებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები გასაუმჯობესებელი და დასახვეწია.